საიდ. №79618/03

IR 560467

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N152-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, მ. ჭიჭინაძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „ეარბას ჰელიკოპტერს“ (AIRBUS HELICOPTERS) N152-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 1 ოქტომბრის N2828/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნისთვის „FENESTRON“ (საიდ. N79618/03, IR 560467) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლის მიმართ (მე-12 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2828/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „FENESTRON“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან განიმარტება, როგორც ვერტმფრენის ვენტილატორი, რომელიც მოთავსებულია ვერტმფრენის კუდზე და მთავარი ფუნქციის გარდა, ასევე ასრულებს ვერტმფრენის ხმაურის შემცირების ფუნქციასაც. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება წარმოადგენს უარის თქმის აბსოლიტურ საფუძველს, კერძოდ, იგი არაგანმასხვავებელუნარიანია შემდეგი განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ: ტრანსპორტი (რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ვერტმფრენს), გადასაადგილებელი აპარატურა ჰაერის (რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ვერტმფრენს) და ვერტმფრენის კუდის როტორები, რომელშიც განთავსედება ზემოაღნიშნული ვერტმფრენის ნაწილი „FENESTRON“, რაც შეეხება საქონლის შემდეგ ჩამონათვალს: ტრანსპორტს, ხმელეთზე და წყალში გადასაადგილებელ სატრანსპორტო საშუალებებს, მის მიმართ გასავრცელებლად წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „FENESTRON“ შეცდომაში შემყვანია განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ. აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ“ და ,,თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალისათვის.

აპელანტი კომპანია „ეარბას ჰელიკოპტერს“ (AIRBUS HELICOPTERS) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სიტყვიერი აღნიშვნა „FENESTRON“ იყო ფრანგული კომპანიის „სუდ ევიეიშენ“ (Sud Aviation) სასაქონლო ნიშანი, რომელმაც შეიცვალა დასახელება „ეუროკოპტერზე“ (EUROCOPTER), ხოლო შემდგომ შეერწყა კომპანიას „ეარბას ჰელიკოპტერს“ (AIRBUS HELICOPTERS). დღეისათვის ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელია კომპანია „ეარბას ჰელიკოპტერს“ (AIRBUS HELICOPTERS).

აპელანტის პოზიციით, სიტყვიერი აღნიშვნა „FENESTRON“ ფანტაზიურია და არ გააჩნია აზრობრივი დატვირთვა. მას არ მოეძებნება შესატყვისი თორმეტენოვანი ლექსიკონის - „ABBY Lingvo“ არც ერთ ენაზე. იგი ხელოვნურად არის წარმოქმნილი თანამედროვე ფრანგული სიტყვიდან „fenêstre“ და ნიშნავს პატარა ფანჯარას. ამ სიტყვის საფუძველი კი თავის მხრივ არის ლათინური სიტყვა „fenestra“, რომლის შესატყვისიც ქართულ ენაზე არის - „ფანჯარა, ღიობი“. აპელანტის აზრით, ეს აღნიშვნა, მისი წარმოშობისა და ფანტაზიური ხასიათის გამო, თავისი მნიშვნელობით არ არის დაკავშირებული შვეულმფრენებთან და მათ ნაწილებთან. ის არის სასაქონლო ნიშანი, რომლითაც მონიშნულია კომპანიის მიერ წარმოებული შვეულმფრენის ნაწილები, რომელთა შორის არის დახურული საჭის ხრახნიც. აღნიშნულის გამო, საინფორმაციო წყაროებში, როგორიცაა „ვიკიპედია“ - თავისუფალი ენციკლოპედია, აკადემიური ლექსიკონები, ენციკლოპედიები და სხვა, აღნიშნულია, რომ სიტყვა „FENESTRON არის შვეულმფრენის დახურული საჭის ხრახნი, რომელიც ფაქტიურად არის ხვრელური ვენტილატორი. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ამ განმარტებებში ასევე მითითებულია, რომ აღნიშვნა „FENESTRON“ 1990 წლიდან არის კომპანიის „EUROCOPTER“ სასაქონლო ნიშანი.

აპელანტი მიიჩნევს, რომ აღნიშვნას „FENESTRON“ არ შეიძლება ჰქონდეს აღწერილობითი ხასიათი განცხადებული საქონლის ჩამონათვალის ნაწილის, კერძოდ „შვეულმფრენის ხვრელური საჭის ხრახნი“ (faired tail rotors for helicopters) მიმართ და

მით უმეტეს, ის არ შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი განცხადებული საქონლის ჩამონათვალის დარჩენილი ნაწილის მიმართ.

აპელანტის მტკიცებით, ის ფაქტი, რომ აღნიშვნა „FENESTRON“ საინფორმაციო წყაროებში ხშირად არის განმარტებული როგორც შვეულმფრენის დახურული საჭის ხრახნი, არ ნიშნავს იმას, რომ ეს აღნიშვნა გადაიქცა გვარეობით ცნებად შვეულმფრენის ამ ნაწილისათვის. ამას ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია და ის ფაქტი, რომ დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეს აღნიშვნა რეგისტრირებულია აპელანტის სახელზე საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-12 კლასის საქონლისათვის. სასაქონლო ნიშანი „FENESTRON“ საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-12 კლასის საქონლისათვის აპელანტის სახელზე დაცულია არა მხოლოდ მადრიდის სისტემის იმ ქვეყნებში, რომლებშიც გავრცელდა საერთაშორისო რეგისტრაცია № 560467, არამედ ევროპის, აზიისა და ამერიკის სხვა ქვეყნებშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 1 ოქტომბრის N2828/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნისთვის „FENESTRON“ (საიდ. N79618/03, IR 560467) დაცვის მინიჭებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლის მიმართ (მე-12 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N152-03/15) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“, ხოლო აღნიშნული ნორმის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შესაძლებელს

ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ.“

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული განცხადებული სასაქონლო ნიშნის „FENESTRON” რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. კერძოდ, კოლეგია იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასაქონლო ნიშანი „FENESTRON” ფანტაზიურია, არ გააჩნია რაიმე სემანტიკური მნიშვნელობა და არ მოეძებნება პირდაპირი შესატყვისი არც ერთ ენაზე. გარდა ამისა, კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ არის არც შეცდომაში შემყვანი, მე-12 კლასის განცხადებული საქონლის შემდეგი ჩამონათვლის მიმართ: *„ტრანსპორტი, ხმელეთზე და წყალში გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალებები.“,* ვინაიდან იმ სიტყვათა მნიშვნელობა, რომელთაგანაც განცხადებული სასაქონლო ნიშანი არის ნაწარმოები („FENÊTRE“ „FENESTRO“ და „FENÈSTRA“, შესაბამისად, ფრანგულ, ესპერანტოსა და ოქსიტანურ ენებზე), წარმოადგენს „ფანჯარას“. შესაბამისად, განცხადებული სასაქონლო ნიშნის „FENESTRON” წარმომავლობის გათვალისწინებით, მისი საქონლის განხადებულ ჩამონათვალთან კავშირი ვერ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ეარბას ჰელიკოპტერს“ (AIRBUS HELICOPTERS) N152-03/15 სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 1 ოქტომბრის N2828/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანს „FENESTRON“ (საიდ. N79618/03 IR 560467) მიენიჭის დაცვა საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ს. დუმბაძე
	მ. ჭიჭინაძე